

„20/12“ პრეზენტაცია

12 მწერლის 12 ნოველა თიბისი ბანკის საიუბილეო პროექტში

29 დეკემბერს, 20:00 საათზე, შარდენზე (კონკასთან), თიბისი ბანკის ახალი, საიუბილეო პროექტის პრეზენტაცია გაიმართება. საზოგადოებას საშუალება მიეცემა, გაეცნოს **12 ყველაზე ცნობილი ქართველი მწერლის 12 ახალ ნოველას**, რომელიც სპეციალურად თიბისი ბანკის პროექტში „20/12“ გაერთიანდა.

პროექტის ფარგლებში 12 მწერალი 12 ცნობილ ფოტოხელოვანთან დაწყვილდა. მწერლებმა შექმნეს 12 სხვადასხვა ჟანრის ნოველა, რომლებიც შინაარსობრივად, მომავალი წლის თითოეულ თვეს დაუკავშირდა, ხოლო თითოეულ ამ ნოველას საკუთარი ფოტოილუსტრაცია მოერგო. **სწორედ ამ ნოველებითა და ფოტოებით გაფორმდა თიბისი ბანკის სასაჩუქრე წიგნი-დღიურები და კალენდრები, რომლის პრეზენტაციაც დღეს, შარდენზე ცხელი გლინტეინისა და სასიამოვნო მუსიკის თანხლებით შედგება.**

პროექტი სახელწოდებით „20/12“ თიბისი ბანკმა 1 თვის წინ დაიწყო და 2012 წლის ბოლომდე გაგრძელდება. მომავალი წლის განმავლობაში პროექტი გაფართოვდება და მოიცავს ხელოვნების სხვა დარგებსაც. ბოლოს კი, ამ ნოველების საფუძველზე შეიქმნება კინოსცენარი და მხატვრული ფილმი.

პროექტი ეძღვნება თიბისი ბანკის 20 წლის იუბილეს, რომელიც ბანკს 2012 წლის დეკემბერში უსრულდება. ფილმის პრემიერა სწორედ ბანკის იუბილეზე გაიმართება.

პრეზენტაციაზე **პროექტის მონაწილე მწერლები წაიკითხავენ ფრაგმენტებს საკუთარი ნოველებიდან**. აქვე შედგება **ვიდეო-კლიპების პრეზენტაცია**, რომლებშიც მწერლები, პროექტში მონაწილე ფოტოხელოვანებთან ერთად მონაწილეობდნენ. **ასევე წარმოდგენილი იქნება ნოველების ფოტოილუსტრაციების გამოფენა**

პროექტში მონაწილეობდნენ:

გურამ დოჩანაშვილი - იური მეჩითოვი
აკა მორჩილაძე - ბესო უზნაძე
კოტე ჯანდიერი - ლევან ხერხეულიძე
ზაზა ბურჭულაძე - დათო მესხი
ბესო ხვედელიძე - ირინა აბჯანდაძე
დათო ტურაშვილი - გიო სუმბაძე
ნესტან კვინიკაძე - ნიკო ტარიელაშვილი
ანა კორძაია-სამადაშვილი - კახა კახიანი
ზურაბ ქარუმიძე - გურამ წიბახაშვილი
ლაშა ბულაძე - ნათელა გრიგალაშვილი
თეონა დოლენჯაშვილი - დიმა ჩიკვაძე
ზურაბ ლეჟავა - გოგა ჩანადირი

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიების ბაზარზე
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრა-თანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ წარმოდგენილია აზერბაიჯანის და ისრაელის ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3

--	--